



საქართველოს გაერთიანებული სახელმწიფოს და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1010

24/10/2019

ქ. თბილისი

შპს „არ ემ ჯი აურამაინ“-ის ბექთაქარის ოქრო-პოლიმეტალური საბადოს მიმდებარე ტერიტორიაზე 17800 მ³ მოცულობის რეზერვუარი-საღებარის მოწყობის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის მე-9 პუნქტის 9.9. ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, შპს „არ ემ ჯი აურამაინ“-ის ბექთაქარის ოქრო-პოლიმეტალური საბადოს მიმდებარე ტერიტორიაზე 17800 მ³ მოცულობის რეზერვუარი-საღებარის მოწყობის პროექტზე სკოპინგის დასკვნა N103 (17.10.2019);
2. შპს „არ ემ ჯი აურამაინ“ ვალდებულია გზმ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს სკოპინგის დასკვნის N103 (17.10.2019) შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „არ ემ ჯი აურამაინ“-ს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „არ ემ ჯი აურამაინ“-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი

საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

სკოპინგის დასკვნა N103

17.10.2019

საერთო მონაცემები:

საქმიანობის დასახელება: 17800 მ³ რეზერვუარი-სალექარის მოწყობის პროექტი;

საქმიანობის განმახორციელებელის დასახელება მისამართი: შპს „არ ემ ჯი აურამაინ“, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ალექსიძის ქ. N1

საქმიანობის განხორციელებელის ადგილი: ბოლნისის მუნიციპალიტეტი

განცხადების შემოსვლის თარიღი: 21.03.2019

ძირითადი საპროექტო მონაცემები

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში, შპს „არ ემ ჯი აურამაინის“ მიერ წარმოდგენილია, ბოლნისის მუნიციპალიტეტში ბექთაქარის ოქრო-პოლიმეტალური საბადოს მიმდებარე ტერიტორიაზე 17800 მ³ მოცულობის რეზერვუარი-სალექარის მოწყობის პროექტის სკოპინგის ანგარიში.

წარმოდგენილი ანგარიშის თანახმად, ბექთაქარის საბადოს საწარმოო უბანზე საპროექტო სალექარის მოწყობა გათვალისწინებულია მაღაროდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 430 მ მანძილზე, 832 მ ჰიფსომეტრიულ ნიშნულზე. სალექარის განთავსების ტერიტორიის რელიეფი წარმოადგენს სამხრეთ-აღმოსავლეთი ექსპოზიციის თანაბარი დახრილობის 7,4% ქანობის ფერდობს.

ოქრო-პოლიმეტალურ საბადოზე ტექნოლოგიური მიზნებისთვის დაგეგმილი იყო შახტური წყლების გამოყენება. აღსანიშნავია, რომ საბადოს მიმდებარე ტერიტორიაზე მოწყობილია 9,5 მ³ მოცულობის რეზერვუარი. აღნიშნული რეზერვუარის გამოყენება გათვალისწინებული იყო როგორც საპროექტო 17800 მ³ მოცულობის რეზერვუარი-სალექარის ერთი სექცია.

2019 წლის 12 აპრილს ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე მოეწყო სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა და საპროექტო ტერიტორიის დათვალიერება. საპროექტო ტერიტორიის დათვალიერების დროს აღმოჩნდა, რომ ტერიტორიაზე მოწყობილია ორი სხვადასხვა მოცულობის რეზერვუარი-სალექარი. აღნიშნულთან დაკავშირებით ბექთაქარის ოქროს საბადოს ტერიტორიაზე რეზერვუარ-სალექარის მოწყობასთან დაკავშირებით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსდ - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა ადგილზე განახორციელა ინსპექტირება, რომლის შედეგად დაადგინა, რომ შპს „არ ემ ჯი აურამაინის“ მიერ ჩადენილია სხვადასხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევები, რის საფუძველზეც დეპარტამენტის მიერ განხორციელდა კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

გზმ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესწავლილი ინფორმაციის ჩამონათვალი

1. გზშ-ს ანგარიში უნდა მოიცავდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მესამე ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;
2. გზშ-ს ანგარიშს უნდა დაერთოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მეოთხე ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტაცია;
3. გზშ-ს ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სკოპინგის ანგარიშში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია, გზშ-ის პროცესში დეტალურად შესწავლილი ზემოქმედებები და შესაბამისი შემცირების/შერბილების ღონისძიებები;
- 3.1 **გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად გზშ-ის ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ.**

4. გზშ-ს ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს:

- პროექტის საჭიროების დასაბუთება;
- პროექტის აღწერა;
- სანაყაროებისა და სამშენებლო-საექსპლუატაციო ბანაკის shape ფაილები ასეთის საჭიროების შემთხვევაში;
- ინფრასტრუქტურული ობიექტების, დანადგარებისა და ტექნოლოგიური მოწყობილობების აღწერა;
- საპროექტო ტერიტორიაზე სალექარის და მასთან დაკავშირებული ობიექტების, ასევე დამატებითი ინფრასტრუქტურის ობიექტების აღწერა;
- სალექარის ძირითადი ფიზიკური მახასიათებლები, სალექარის მოწყობის გეგმა, პარამეტრები, ტექნოლოგიური სქემა და გაწმენდის ეფექტურობა;
- საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS კოორდინატები;
- ინფორმაცია არსებული სალექარების ურთიერთკავშირის ტექნიკური გადაწყვეტის შესახებ;
- განხორციელებული და დაგეგმილი სამუშაოების შესახებ ინფორმაცია;
- პროექტის ალტერნატიული ვარიანტები დეტალურად: შესაბამისი დასაბუთებით, მათ შორის არაქმედების ალტერნატივა, გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შერჩეული დასაბუთებული ალტერნატივა;
- წყალმომარაგების პროექტის აღწერა, შესაბამისი ნახაზებით თუ როგორ მოხდება ობიექტზე სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგება (ინდივიდუალურად თუ წყალმომარაგების სისტემებიდან);
- ობიექტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების მართვის საკითხი: სასენიზაციო ორმოს ტევადობა; სასედიმენტაციო გუბურების-ბიოტუალეტის მოწყობა და ა.შ.;
- ფუჭი ქანების განთავსების შესახებ დეტალური ინფორმაცია;
- გზშ-ს ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სალექარის ფსკერის მომზადებისთვის ჩატარებული პროცედურების დეტალური აღწერა.

4.1 სამშენებლო სამუშაოების განხორციელების შესახებ ინფორმაცია კერძოდ:

- მცენარეული და ნიადაგის საფარის მოხსნის სამუშაოების, გრუნტის სამუშაოების და სარეკულტივაციო სამუშაოების შესახებ დეტალური ინფორმაცია („ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნათა დაცვით);
- მშენებლობაში გამოყენებული ტექნიკის ჩამონათვალი და რაოდენობა;
- სალექარის მოწყობის და ექსპლუატაციის პერიოდში ელექტრომომარაგება;
- სამშენებლო მასალების დამამზადებელი ობიექტების შესახებ ინფორმაცია;

- დასაქმებული ადამიანების საერთო რაოდენობა მათ შორის დასაქმებულთა ადგილობრივი წილი;

4.2 საპროექტო დერეფანში ჩატარებული გეოლოგიური კვლევის ანგარიში, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგს:

- საპროექტო უბნის გეოლოგიური აგებულება;
- რეგიონის ზოგადი გეოლოგიური რუკა;
- რელიეფი (გეომორფოლოგია);
- საპროექტო ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური რუკა, საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილები; საინჟინრო-გეოლოგიური პირობები (მათ შორის საპროექტო ტერიტორიის სივრცეში არსებული საშიში გეოლოგიური პროცესების აღწერა);
- საპროექტო ტერიტორიის გეომორფოლოგიური, გეოლოგიური, ჰიდროლოგიური, სეისმური და ტექტონიკური პირობების აღწერა;
- გეოლოგიური კვლევის შედეგების გათვალისწინებით შემუშავებული დასკვნები და რეკომენდაციები;
- სეისმური კვლევის შედეგების გათვალისწინებით შემუშავებული დასკვნები და რეკომენდაციები;
- ზემოქმედება მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე;
- საშიში გეოლოგიური პროცესების (არსებობის შემთხვევაში) შესაძლო გააქტიურების განსაზღვრა საპროექტო ობიექტის მშენებლობა-ექსპლუატაციის პერიოდში, დამცავი ღონისძიებების მითითებით;

4.3 ბიოლოგიური გარემო: საპროექტო ტერიტორიის მცენარეული საფარის დეტალური აღწერა; საქართველოს იშვიათი და წითელი ნუსხის სახეობები, რომლებიც გვხვდება დაგეგმილ საპროექტო ტერიტორიაზე; ხმელეთის ფაუნა; საპროექტო დერეფანში გავრცელებული საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი ცხოველთა სახეობები; საკვლევი არეალი და სავლე კვლევის მეთოდები, სენსიტიური ადგილები, სავლე კვლევის შედეგები.

5. გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისათვის და პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედების შეჯამება, მათ შორის:

- ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე, ემისიების სამშენებლო ტექნიკის მუშაობისას, სამშენებლო მასალების დამამზადებელი ობიექტიდან, გაბნევის ანგარიში;
- ხმაურის გავრცელება, მოსალოდნელი ზემოქმედება და შემარბილებელი ღონისძიებები;
- გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება და საშიში გეოდინამიკური პროცესები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- ზემოქმედება მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე და შემარბილებელი ღონისძიებები;
- ზემოქმედება ზედაპირულ წყლებზე, ზედაპირული წყლების დაბინძურების რისკი;
- ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება და ზემოქმედების შეფასება კერძოდ: მცენარეულ საფარსა და ჰაბიტატების მთლიანობაზე ზემოქმედება, ცხოველთა სამყაროზე ზემოქმედება, (მათ შორის წითელი ნუსხის), და არსებობის შემთხვევაში შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- საპროექტო ტერიტორიაზე არსებულ მცენარეებზე. მათზე ზემოქმედების შემთხვევაში, წარმოდგენილი იქნეს ინფორმაცია ზემოქმედებას დაქვემდებარებული ხე-მცენარეების შესახებ სახეობების და რაოდენობის მითითებით. ზემოქმედება ეროვნული კანონმდებლობითა და საერთაშორისო

ხელშეკრულებებით დაცულ სახეობებზე და ჰაბიტატებზე. ამ ზემოქმედების, შემცირების, შერბილების, თავიდან აცილების და საკონპენსაციო ღონისძიებებზე, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში ჰაბიტატის აღდგენის ღონისძიებებზე;

- კვლევების შედეგების საფუძველზე, მონიტორინგის გეგმაში აისახოს, ბიომრავალფეროვნების ცალკეულ კომპონენტებზე ზემოქმედებაზე დაკვირვების საკითხი;
 - ნარჩენების მართვის საკითხები, ნარჩენების მართვის გეგმა, ნარჩენების წარმოქმნით მოსალოდნელი ზემოქმედება;
 - ზემოქმედება და ზემოქმედების შეფასება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე, მიწის საკუთრებასა და გამოყენებაზე, ბუნებრივი რესურსების შეზღუდვაზე, ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
 - ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადებზე და შემარბილებელი ღონისძიებები;
 - შემარბილებელი ღონისძიებების გეგმა;
 - გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა;
 - ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების დეტალური გეგმა;
 - სკოპინგის ეტაპზე საზოგადოების ინფორმირებისა და მის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების შეფასება;
 - ზემოქმედება ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე;
 - გზშ-ის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები და საქმიანობის პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები;
 - ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული საკითხების შესახებ (ერთიანი ცხრილის სახით);
- საპროექტო ტერიტორიაზე აუცილებელია არქიტექტურული და არქეოლოგიური ძეგლების გამოვლენისა და დაცვის მიზნით ჩატარდეს დაზვერვითი, ვიზუალური კვლევა. კომპანიამ დარჩენილი სამუშაოები განახორციელოს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსთან შეთანხმებით;
- გზშ ანგარიში წარმოდგენილი უნდა იყოს ადგილზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით.

დასკვნითი ნაწილი:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით სამინისტროში შპს „არ ემ ჯი აურამაინ“-ის მიერ წარმოდგენილ, ბექთაქარის ოქრო-პოლიმეტალური საბადოს მიმდებარე ტერიტორიაზე 17800 მ³ მოცულობის რეზერვუარი-სალექარის მოწყობის პროექტზე **სავალდებულოა გზშ-ს ანგარიში მომზადდეს** წინამდებარე სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოპოვებული და შესასწავლი ინფორმაციის და წარმოსადგენი დოკუმენტაციის მიხედვით.